



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ზოოლოგიის ინსტიტუტის (შემდგომში ინსტიტუტი) მიზნებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მარტვის ორგანოებს, უფლება-მოვალეობებს, ინსტიტუტის პერსონალს, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებაში მონაწილეობას და სხვა საკითხებს.
2. ზოოლოგიის ინსტიტუტის დებულებას ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავენ და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, თანხმობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 2. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2.1 ინსტიტუტის მისია:

1. საქართველოში ზოოლოგიის დარგში ფუნდამენტური კვლევების წარმოება;
2. კადრების მომზადება ზოოლოგიაში;
3. კვლევითი სამუშაოების მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში. სასწავლო პროგრამების შექმნა;
4. საზოგადოების გათვითცნობიერება ცხოველთა სამყაროს შენარჩუნების აუცილებლობის საკითხებში.

2.2. ინსტიტუტის თვალთახედვა: ინსტიტუტში ჩატარებული კვლევები ემსახურება:

1. საქართველოს ფაუნაზე წარმოდგენის გაფართოებას, ცოცხალი ბუნების დაცვის პრინციპებს;
2. მოსწავლე ახალგაზრდებისა და სტუდენტების აღზრდას;
3. გამოყენებითი ზოოლოგიის პრინციპების შემუშავებას;
4. ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში მის ინტეგრაციას.

2.3. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

1. საველე და ექსპერიმენტალური კვლევები;
2. მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ეძღვნება ფაუნის შესწავლის სხვადასხვა ასპექტებს;
3. კოლექციების შექმნა და შევსება, საქართველოს ცხოველთა რეესტრისა და ნუსხის დადგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა და წითელი ნუსხის გადამუშავებაში მონაწილეობის მიღება;



4. მიღებული შედეგების საჯარო განხილვა და გამოქვეყნება,

2. 4. ინსტიტუტის მიზნები საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

1. ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების წარმოება;
2. განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;
3. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები და/ან მკვლევარები, რომლებიც ქმნიან ინსტიტუტის საბჭოს;
4. ინსტიტუტის საბჭო ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას;
5. კომპლექსური, ფუნდამენტური კვლევების წარმოება ზოოლოგიაში;
6. ზოოლოგიური მეცნიერების ცალკეულ მიმართულებებში ექსპერტების მომზადებაში მონაწილეობა ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის დონეზე;
7. საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების განვითარება.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ხერხემლიან ცხოველთა ლაბორატორია;
2. ნემატოლოგიის ლაბორატორია;
3. ენტომოპათოგენების ლაბორატორია;
4. პარაზიტოლოგიის ლაბორატორია;
5. ჰიდრობიოლოგიისა და იხთიოლოგიის ლაბორატორია;
6. კარიოსისტემატიკისა და ბიოქიმიის ლაბორატორია;
7. სამეცნიერო კოლექციების ფონდი.

აქ შესაძლოა გაიწეროს ერთ პროგრამაში თუ რამდენიმე მიმართულება იქნება, ან თუ ექნება შიდა სტრუქტურული ერთეული, შესაძლოა ასეთი მუხლი დებულებაში საერთოდ არ იყოს.

მუხლი 4. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი/დირექტორები და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისაგან და მკვლევარისაგან;
2. ინსტიტუტის საბჭო ინსტიტუტის დირექტორს ირჩევს პირველივე სხდომაზე და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;
3. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის წევრების 2/3;
4. თუ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამა შედგება რამდენიმე თანაბარი მნიშვნელობის პროექტისაგან, შესაძლებელია არჩეულ იქნას ინსტიტუტის რამდენიმე დირექტორი.



მუხლი 5. ინსტიტუტის საბჭო:

1. განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის (დირექტორების) მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;
2. ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის (დირექტორების) მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;
3. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;
4. ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავებს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენ ინსტიტუტის დებულების პროექტს.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი (დირექტორები):

1. ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;
2. აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას და ინსტიტუტის დებულებას;
3. აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევარების და პროფესორების კანდიდატურებთან დაკავშირებით;
4. ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 7. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო
2. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა არენაკლებ ნახევრისა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით;
3. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „საბჭოს გადაწყვეტილების“ სახით.



მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევარები და დამხმარე პერსონალი;
2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში;
3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელი უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები, მკვლევარები და სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული;
4. ინსტიტუტის და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 10. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

ინსტიტუტის გარდაქმნის და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 11. ცვლილების შეტანის წესი

დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტის დირექტორთან (დირექტორებთან) ერთად შეიმუშავენ და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.